

მიღების პროცედურები

- ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიიღებიან;
- 24 წლამდე აბიტურიენტები, რომლებიც დარეგისტრირდებიან ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის (ელექტრონულად აპლიკანტები რეგისტრირდებიან მხოლოდ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე naec.ge), რეგისტრაციისას აირჩევენ აკადემიის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამებს;

აკადემიის შიდა შესარჩევი ტურები მოიცავს III ეტაპს

I ეტაპი: ტესტირება ფიზიკურ მომზადებაში

- ტესტირება ფიზიკურ მომზადებაში მოიცავს:
- წოლბჯენიდან აზიდვა;
- მუცლის პრესი;
- რბენა 3200 მ.

II ეტაპი: ფსიქოლოგიური გასაუბრება

- აბიტურიენტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან ფსიქოლოგიურ შერჩევას, სადაც შეფასდება აბიტურიენტის მზადყოფნა და მოტივაცია შეეგუოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რეჟიმს და მისი დასრულების შემდეგ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადით იმსახუროს სამხედრო სამსახურში.

III ეტაპი: სამედიცინო შემოწმება

- აბიტურიენტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან სამედიცინო შემოწმებას;
- აბიტურიენტები, რომლებიც წარმოადგენენ ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა NIV-100/ა).

აბიტურიენტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან შიდა შესარჩევ ტურებს, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

- ო უცხო ენა;
- ქართული ენა;
- მათემატიკა ან ისტორია.

საბუთების მიღება იწარმოებს აკადემიის ტერიტორიაზე, შემდეგ მისამართზე: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კილომეტრი. საბუთების მიმღები კომისიის ტელეფონი: 577 39 01 94; 2 30 52 85.

საბუთების ნუსხა:

- განცხადება (შეავსებთ აკადემიის მიმღებ კომისიაში);
- ავტობიოგრაფია (ხელნაწერი და ნაბეჭდი) – 2 ეგზ;
- დაბადების მოწმობა (დედანი და ასლი) – 3 ეგზ;
- პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი) – 3 ეგზ;
- ზოგადი განათლების მოწმობა (დედანი და ასლი) – 3 ეგზ;
- დახასიათება ბოლო საქმიანობის ადგილიდან (სკოლიდან/სასწავლებლიდან. დედანი და ასლი) – 2 ეგზ;
- ქორწინების (განქორწინების) მოწმობის ასლი – 2 ეგზ. (არსებობის შემთხვევაში);
- შვილების დაბადების მოწმობის ასლები – 2 ეგზ. (არსებობის შემთხვევაში);
- ოჯახის წევრების პირადობის მოწმობის ასლები (მშობლები, მეუღლე, შვილები, და–ძმა) – 2 ეგზ;

10. ოჯახის წევრების გარდაცვალების მოწმობის ასლები (არსებობის შემთხვევაში) - 2 ეგზ;
11. მართვის მოწმობის (არსებობის შემთხვევაში. დედანი და ასლი) - 3 ეგზ;
12. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა NIV-100/ა დედანი და ასლი) - 2;
13. ცნობა პროფილაქტიკური აცრების შესახებ (წითელა, წითურა, ყბაყურა, ტეტანოსი-დიფტერია. დედანი და ასლი) - 2 ეგზ;
14. ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ (დედანი და ასლი) - 2 ეგზ;
15. ცნობა ნასამართლეობის შესახებ (დედანი და ასლი) - 2 ეგზ;
16. ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სახელმწიფო გასაცემლების შესახებ (დედანი და ასლი) - 2 ეგზ;
17. შრომის წიგნაკის (არსებობის შემთხვევაში. დედანი და ასლი) - 2 ეგზ;
18. მიღებული სერტიფიკატების ასლები (არსებობის შემთხვევაში) - 2 ეგზ;
19. წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა (დედანი და ასლი) - 2 ეგზ;
20. 6 ცალი ფოტოსურათი 3X4-ზე;
21. CD დისკი ფოტოსურათის ელექტრონული ვერსიით - 1 ცალი;
22. მუყაოს საქალაქო - 2 ცალი.